

**ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო**

**საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა**

**გლობალური ფონდის პროექტების მიმდინარე სტატუსთან დაკავშირებით**

**ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ოფისი**

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

**10 დეკემბერი 2018 წ.**

შეხვედრის მიზანი: აივ/შიდსის და ტუბერკულოზის მიმდინარე გრანტის 2018 წლის მე-2 და მე-3 კვარტალის დეშბორდების განხილვა.

მონაწილეები:

ნიკოლოზ მირზაშვილი - პაციენტთა კავშირი

ნინო მამულაშვილი - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

ალექსანდრე ასათიანი - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ-პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

მაკა დანელია - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი

ირინა გრძელიძე - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო, ადმინისტრაციული ასისტენტი

2018 წლის მე-2 და მე-3 კვარტლის აივ დეშბორდების ფინანსური ნაწილის განხილვისას აღინიშნა, რომ ყველა გადარიცხვა ხორციელდება დროულად. რაც შეეხება კუმულაციურ ბიუჯეტსა და ფაქტობრივ ხარჯვას შორის დაფიქსირებულ სხვაობას, იგი დიდწილად განპირობებულია შესყიდვების შედეგად წარმოშობილი დანაზოგებით, რომელიც ხორციელდება ტენდერის მეშვეობით და ასევე კურსთაშორის სხვაობით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა აქტივობა ხორციელდება დასახული გეგმის შესაბამისად. აღინიშნა, რომ ქვე-კონტრაქტების მხრიდან ანგარიშგება ხორციელდება დროულად. რაც შეეხება მედიკამენტების მარაგებს (მნ ინდიკატორი) ყველა სახარჯი მასალა და მედიკამენტი შესყიდულია და მიწოდებულია მიმდინარე წლის დეკემბერში. რაც შეეხება სამუშაო გეგმის

განხორციელების შეფასების ინსტრუმენტს (Work-plan tracking measurement), დაგეგმილია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ტრენინგი სახელმწიფო დაფინანსების მიღების მოდელების გარშემო (CSI).

კვლავ პრობლემად რჩება 1 მლ შპრიცების ხარისხით გარკვეული ბენეფიციარების უკმაყოფილება, თუმცა აღინიშნა, რომ შპრიცების შესყიდვა ხორციელდება არსებული რეგულაციების სრული დაცვით. დაგეგმილია ძირითადი მიმღების მიერ რეგიონებში მონიტორინგის ვიზიტების განხორციელება საკითხის შემდგომი კომპლექსური შესწავლის მიზნით. აღინიშნება პროგრესი MSM მოცვის ინდიკატორთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება თანასწორობის მოძრაობისა და თანადგომის აქტიური ქმედებებით. საკითხი დეტალურად იქნება განხილული თანასწორობის მოძრაობასთან დაგეგმილი საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტის მსვლელობისას. ნიმ-ების პრევენციული პროგრამებით მოცვის მაჩვენებელი გახდება დეტალური განხილვის საგანი სათემო ორგანიზაცია აკესო-ში დადგეგმილი საზედამხედველო ვიზიტის დროს.

განხილულ იქნა 2018 წლის მე-2 და მე-3 კვარტალის ტბ დეშბორდები. შიდსის პროგრამის მსგავსად არ აღინიშნება რაიმე ტიპის დაგვიანება/ჩამორჩენა ფინანსურ და მენეჯმენტის საკითხებში. დანაზოგი განპირობებულია შესყიდვებით, რომელიც ხორციელდება ტენდერის მეშვეობით და ასევე კურსთაშორის სხვაობით. მედიკამენტების მარაგების საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ კლოფაზიმინი, რომლის მარაგის მაჩვენებელი შედარებით დაბალია მე-3 კვარტალში, უკვე შესყიდულია მე-4 კვარტალის დასაწყისისთვის. ფტიზიატრების და პულმონოლოგებისთვის დაგეგმილი ტრენინგი ჩატარდება 2019 წელს. აღნიშნული გადავადება გამოწვეულია ჯანმოს მიერ მკურნალობის რეჟიმების გაიდლაინების ცვლილებებით. მოსალოდნელია ახალი გაიდლაინის გამოქვეყნება ჯანმოს მიერ მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს. დეტალურად იქნა განხილული რეზისტენტული პაციენტების მკურნალობაში ჩართვის ინდიკატორის დაბალი მაჩვენებელი. მიმდინარეობს მოლაპარაკება გლობალურ ფონდთან ინდიკატორის დაწევასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ტბ განახლებული სტრატეგია ასახავს პაციენტების შემცირებულ რაოდენობას. ჯანმოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა პაციენტების რაოდენობის კლება.

ირინა გრძელიძე

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი